პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 პარასკევი 25 ნოემბერი № 275 (17015) ფასი 2 კაპ. 1977

საიუბილეო წელს, დამკვრელური შრომით!

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა წარმატება

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის რეალიზაციისათვის, ვადამდე, 24 ნოემბერს შეასრულეს რეალიზაციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების 1977 წლის იანვარ-ნოემბრის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისის საწარმოო გაერთიანებების „საქსამთოქიმმრეწვის“, „ელექტროაპარატის“, „ელექტროხელსაწყოს“, წინდის, სპირტისა და ლიქიორ-არყის მრეწველობის, კონიაკისა და ცხიმის კომბინატების, „საქმარმარილოს ტრესტის, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, საინსტრუმენტო, გაზის აპარატურის ქარხნების, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალის“, № 2 და № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკების, სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვრის“, საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის“ კოლექტივებმა; ქუთაისის საავტომობილო, მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების, ღვინის ქარხნების, სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“, ავეჯის ფაბრიკის კოლექტივებმა; რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქალაქ ბათუმის კიროვის სახელობის ტყავის საწარმოო გაერთიანების, „კავკაზტრანსფორმატორის“ საწარმოო გაერთიანების, სოხუმის ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, ცხინვალის „ემალსადენის“ ქარხნის, ზუგდიდის ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის, ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ქარხნის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

□

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის ვადამდე, 24 ნოემბერს გაანაღდეს რეალიზაციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების 1977 წლის იანვარ-ნოემბრის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი „საწარმოო გაერთიანებების — „ელექტროაპარატის“, „ელექტროხელსაწყოს“, წინდის, სპირტისა და ლიქიორ-არყის მრეწველობის საწარმოს გაერთიანებების, ცხიმკომბინატის, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, საინსტრუმენტო, გაზის აპარატურის ქარხნების, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალის“ № 2 და № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკების, სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვრის“, საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის“ კოლექტივებმა. (საქინფორმი).

□

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების როლის შემდგომი ამაღლება საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის დაახლოება, კულტურის დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცება, განსაკუთრებით სოფლად. განვლილ ხუთწლედში ქვეყანაში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების სისტემის სრულყოფის, სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის საქმიანობის გაუმჯობესებისა და გაფართოების ღონისძიებანი. უფრო ფართო მასშტაბით წარმოებდა რაიონული კულტურის სახლების მშენებლობა, ამაღლდა მათი როლი სოფლის კულტურის დაწესებულებათა მუშაობისადმი ხელმძღვანელობაში.

ამავე დროს ბევრ დიდ სახოფლო დასახლებულ პუნქტს ჯერ კიდევ არა აქვს ხტაციონარული კულტურულ – საგანმანათლებლო დაწესებულებანი. ბევრი სოფლის კლუბის, ბიბლიოთეკისა და კულტურის სხვა დაწესებულების საქმიანობის შინაარსი სრულად არ შეესაბამება იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის თანამედროვე მოთხოვნებს, სოფლის მშრომელთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს.

ზოგან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები სუსტად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და კულტურული მომსახურების ორგანიზაციისათვის, იმისათვის, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა ჩაებას კულტურულ – საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა კულტურულ – საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების სათანადო მოვლას, დროულად არ წარმოებს მათი შეკეთება. ბევრ მათგანს არა აქვს საჭირო მოწყობილობა, ავეჯი, მუსიკალური ინსტრუმენტები და პროპაგანდის თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი.

სერიოზული ნაკლოვანებანია სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით პატარა დასახლებული პუნქტების კინომომსახურების საქმეში, სადაც ხშირად არა აქვთ კინოფილმების ჩვენებისათვის განკუთვნილი დარბაზები. ამავე დროს მოძრავი კინოდანადგარების ქსელი უკანასკნელ წლებში შემცირდა.

კიდევ უფრო უნდა განვითარდეს სოფლად ტელემაყურებლობა.

სხვადასხვა უწყებისადმი დაქვემდებარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში არ არის ჯეროვანი კოორდინაცია, რაც იწვევს ნაკლოვანებებს სოფლის კულტურული დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობაში. სათანადო მოცულობით არ ხორციელდება მუშაობა სოფლის მოწინავე კულტურულ დაწესებულებათა გამოცდილების გავრცელებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის.

სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სმბჭარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხეტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს „საკსოფლტექნიკის“, „ცენტროსოიუზსა“ და საკავშირო პროფსაბჭოს შეიმუშაონ და განახორციელონ სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ქვეყნის ტერიტორიაზე მათი თანაბარზომიერი განლაგების, მათი მუშაობის დონის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებები.

საჭიროა უფრო ფართოდ გამოიყენონ სოფლის კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სხვა დაწესებულებათა შესაძლებლობანი იმისათვის, რომ სოფლის მშრომელები დარაზმონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და საწარმოო ამოცანების შესასრულებლად, მოაწყონ მოსახლეობის კულტურული დასვენება, გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, გააჩაღონ მოწინავე გამოცდილების დანერგვისა და ავროტექნიკური ცოდნის პროპაგანდა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტების შემუშავებისას:

— გათვალისწინონ კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა პირველ რიგში სოფლად კულტურის დაწესებულებათა მშენებლობისათვის, სოფლის კულტურული კომპლექსების შექმნისათვის, სოფლის კლუბების, მასობრივი ბიბლიოთეკებისა და კინოდანადგარების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც რესპუბლიკებს გამოეყოფათ „კულტურის“ დარგის ხაზით.

— უზრუნველყონ საკლუბო დაწესებულებების, მასობრივი ბიბლიოთეკების, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემის კულტურის რაიონული სახლებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის კინოდანადგარების ქსელის შემდგომი განვითარება. გაითვალისწინონ აგრეთვე პროფკავშირული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობის სოფლის საკლუბო დაწესებულებების, მასობრივი ბიბლიოთეკებისა და კინოდანადგარების ქსელის განვითარება, ამასთან მხედველობაში მიიღონ მათი წინადადებანი.

— განაგრძონ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში კლუბების მშენებლობა;

— განახორციელონ ღონისძიებანი მეათე ხუთწლედში აღრე დაწყებული სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ობიექტების მშენებლობის დამთავრებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა ამ მიზნისათვის გამოყოს შესაბამისი კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალური რესურსები იმ მოცულობით, რომელიც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1978-1980 წლებისათვის.

კოლმეურნეობების მიერ საკლუბო შენობების ინიციატივიანი მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტების შემუშავებისას გაითვალისწინებენ სოფლად კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობთაშორისო და სმეურნეობთაშორისო გაერთიანებების სახსრებით მშენებარე კლუბების ისაგებად მასალებისა და მოწყობილობის შესაბამისი ფონდების გამოყოფას.

სოფლად სატელევიზიო მაუწყებლობის გაფართოების, ტელევიზიის მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება ეძლევათ სოფლად ააშენონ და დადგან კოსმოსური კავშირგაბმულობის სისტემების მიმღები სატელევიზიო მოწყობილობანი, მცირე სიმძლავრის რეტრანსლატორები და მათი შესაერთებელი ხაზები იმ სახსრებით, რომლებსაც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიუჯერებლებში გასავალზე შემოსავლის გადამეტება ქმნის გათვალისწინებული სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის დამატებით. სამინისტროებს, უწყებებს, ცალკეულ საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებს უფლება ეძლევათ და კოლმეურნეობებს რეკომენდაცია ეძლევათ აღნიშნული მშენებლობა განახორციელონ საკუთარი სახსრებით.

ნება ეძლევათ აგრეთვე დაინტერესებულ სამინისტროებს, უწყებებს, ცალკეულ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს გააერთიანონ ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, საკუთარი და კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობთაშორისო და სმეურნეობთაშორისო გაერთიანებების სახსრები. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო ბალანსზე მიიღებს მშენებლობადამთავრებულ კოსმოსური კავშირგაბმულობის სისტემების მიმღებ სატელევიზიო მოწყობილობებს, მცირე სიმძლავრის რეტრანსლატორებსა და მათ შემაერთებელ ხაზებს და უზრუნველყოფს მათ ტექნიკურ მომსახურებას, ხოლო კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო 1978-1980 წლებში წელიწადში 700 კომპლექტამდე გაადიდებს მცირე სიმძლავრის რეტრანსლატორიანი კოსმოსური კავშირგაბმულობის სისტემების მიმღები მოწყობილობების მიწოდებას.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ ტიპობრივი პროექტებით აშენონ კლუბები და კულტურის სახლები არა უმეტეს 600-ადგილიანისა, აგრეთვე სოფლად მდებარე საწარმოთა კლუბებად გადააკეთონ სხვა შენობები საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების სახსრებით, ისე, რომ არ შემცირონ საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დავალებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო, სსრ კავშირის კავების მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის ხეტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის კავების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხეტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს „საკსოფლტექნიკის“, „ცენტროსოიუზსა“ და საკავშირო პროფსაბჭოს შეიმუშაონ და განახორციელონ სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ქვეყნის ტერიტორიაზე მათი თანაბარზომიერი განლაგების, მათი მუშაობის დონის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებები.

— გაითვალისწინონ ინტენსიური ტიპის ბიბლიოთეკების, ტელევიზიის, ტელეფონიზაციის, ელექტროფიკაციის, ბიბლიოთეკებისა და ინფორმაციის ავტომატიზაციის, ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის, ავტომატური ხაზების, ავტომატური ტელეფონების, ავტომობილების, ავტოკლუბების, ავტობიბლიოთეკების, ავტოკინოდანადგარების, ავტოტანვრების, ავტოფოტოლაბორატორიების, ავტოფოტოტანვრების, ავტოფოტოტანვრებისა და ავტოფოტოლაბორატორიებისა ... ავტომობილების, ავტოკლუბების, ავტობიბლიოთეკების, ავტოკინოდანადგარების, ავტოტანვრების,

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული).

რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეობთაშორისო და სამეურნეობთაშორისო გაერთიანებებს გამოიყენონ კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის გათვალისწინებული სახსრები აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან შეიქმნას კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის საკავშირო საუწყებათაშორისო საბჭო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს და გაუძღვება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიზანშიმართულ მუშაობას (საზოგადოებრივ საწყისებზე). სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წინადადება მიეცა საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკავშირო საუწყებათაშორისო საბჭოს დებულება.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დაეკალა უზრუნველყოს მეთოდიკური ხელმძღვანელობა სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობისადმი. მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, განსორციელოს ღონისძიებანი კვალიფიციური კადრებით, მათი გამმკაცებისათვის, მოაწყოს სოფლის კულტურის დაწესებულებათა მუშაკების სისტემატური კვალიფიკაციის ამაღლება, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ხარჯების დაფინანსების ნორმები რაიონული, საქალაქო, სოფლის კულტურის სახლებისა და კლუბების კულტინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტებითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან ამ ნორმების ფარგლებში დაამტკიცონ კულტინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტებითა და ტექნიკური საშუალებებით კულტურის სახლებისა და კლუბების აღჭურვის ნუსხა, ამასთან გაითვალისწინონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების თავისებურებანი.

სოფლის კულტურის დაწესებულებებში სამუშაოდ სპეციალისტთა შენარჩუნების მიზნით წინადადება ეძლევათ:

— სსრ კავშირის სახბანკს — ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი ან სპეციალური საშუალო სასწავლებელი და დაინიშნენ სამუშაოდ სოფლად კულტურისა და კინოქსელის დაწესებულებებში, მისცეს კრედიტი ხუთი წლით საოჯახო საჭიროებისათვის დაახლოებით 100 მანეთის ოდენობით, ამასთან მისი დაფარვა დაიწყოს სესხის მიღებიდან მესამე წლის შემდეგ;

— მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს — შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სოფლად მცხოვრები და მომუშავე კულტსაგანმანათლებლო მუშაკები და კინომექანიკოსები უზრუნველყონ უფასო ბინებით, რომლებშიც იქნება გათბობა და განათება.

დადგენილია, რომ სოფლად პენსიაში გასული კულტსაგანმანათლებლო მუშაკებსა და კინომექანიკოსებს და მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს უტოვებენ გათბობითა და განათებით უზრუნველყოფილი უფასო ბინის უფლებას, თუ აღნიშნულ მუშაკთა მუშაობის სტაჟი სოფლად შეადგენს სულ ცოტა 10 წელს. უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე კოლმეურნეობების წევრებზე, რომლებიც კოლმეურნეობების კულტურის დაწესებულებებში სპეციალობით მუშაობენ, ვრცელდება სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის, დახმარების მიღებისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის თანახმად სხვა სახის უზრუნველყოფის პირობები. რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის დადგენილებით „კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, სპეციალისტებისა და მექანიზატორების სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის შესახებ“.

წინადადება ეძლევათ კოლმეურნეობებს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ხელმძღვანელთა შრომის ანაზღაურება აწარმოონ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1976 წლის 24 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში დაადგინონ დამატებითი ანაზღაურება ხელფასის 30 პროცენტამდე ოდენობით სოფლის კლუბის მუშაკებისა და კინომექანიკოსების მიერ გაწეული აქტიური კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის.

სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გადაწყდა გაფართოვდეს კულტურის ტექნიკურ საშუალებათა (ავტოკლუბების, ავტობიბლიოთეკების, მოძრავი კინოდანადგარების და სხვ.) წარმოება. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაეკალა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინოს, რომ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს ამ მიზნებისათვის დამატებით გამოეყოს ავტომანქანები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს — მოძრავი კინოდანადგარებისათვის ავტომობილები, აგრეთვე ეტლიანი მოტოციკლები კინომექანიკოსთა მიერ სოფლის სტაციონარული კინოდანადგარების მომსახურებისათვის.

„საკსოფტექნიკას“ დაეკალა იმ სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების (მათი კვანძებისა და აგრეგატების, აგრეთვე ავტომობილების შასეებისა და ძრავების) შეკეთების ორგანიზაცია, რომლებსაც სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს ადგილობრივი ორგანოები იყენებენ სპეციალიზებული ავტორანსპორტისათვის იმ ავტომობილების მარკების ნომენკლატურის შესაბამისად, რომელთა რემონტს „საკსოფტექნიკა“ ახორციელებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოიქვეს რწმენა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომები, კულტურისა და კინოს ყველა მუშაკი საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ, რათა წარმატებით შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი სოფლად სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სოფლად მთელ თავის მრავალმხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავენ პიროვნების ჰარმონიული განვითარების, მშრომელთა სულიერი ცხოვრების გამდიდრების, მაღალი კომუნისტური შეგნების ჩანერგვისათვის. ყოველივე ეს კეთილსაყოფიერ გავლენას მოახდენს იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე, რომლებიც ხოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დგას.

საქართველო

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოსცემს ბიბლიოთეკა



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გმოობენ სეპარატულ მოლაპარაკებას

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი, (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შეუდგა დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხის — ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის საკითხის განხილვას. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოიწვიონ ჟენევის საზღვარ კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხზე ამ რეგიონის პრობლემის სრული გადაჭრისათვის. აღინიშნა, რომ მისი მომზადების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მორიგებას. რომელსაც საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს. როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ვიზიტად იყო ჩასული ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ განცხადებაში ახლო აღმოსავლეთის შესახებ მკაფიოდ და არაორაზროვნად აღინიშნა, რომ ჟენევის კონფერენცია უნდა განახლდეს არა უგვიანეს 1977 წლის დეკემბრისა. რომ მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ პალესტინელი ხალხის წარმომადგენლებმა. რომ კონფერენციამ უნდა უზრუნველყოს პალესტინელი ხალხის კანონიერი უფლებები.

დისკუსიის დროს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლებში ყურადღება დაეთმო ისრაელ-ეგვიპტის ამასწინანდელ ორმხრივ მოლაპარაკებას, რომელიც გახმამართა ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის ვიზიტის დროს ისრაელთა მიერ ოკუპირებულ იერუსალიმში.

მთელი რიგი არაბული ქვეყნების წარმომადგენლები მკაცრად აკრიტიკებენ ამ სეპარატულ მოლაპარაკებას. სირიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მ. ალაომმა ეგვიპტის პრეზიდენტის მოლაპარაკებას ისრაელის ლიდერებთან „კაპიტულანტური პოლიტიკის“ გამოვლინება უწოდა. სადათის გამგზავრებას, თქვა მან, არ მოჰყოლია და ვერც მოჰყვებოდა რაიმე კონკრეტული პოზიტიური შედეგი.

იორდანიის წარმომადგენელმა ჰ. მუსეიბიმ გამოთქვა თავისი მთავრობის შეშფოთება ახლო აღმოსავლეთში ამბების ბოლოდროინდელი განვითარების გამო და აღნიშნა, რომ სეპარატული გარიგებათა პოლიტიკა ვერ გადაჭრის ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების საკვანძო პრობლემებს, უწინარეს ყოვლისა, ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანისა და პალესტინელი ხალხის კანონიერი უფლებების უზრუნველყოფის საკითხებს.

საუდის არაბეთის წარმომადგენელმა ჯ. ბარუდმ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა ჟენევის საზავო კონფერენციის თანათავმჯდომარეების — ხაბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი მეცადინეობის მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთში კრიზისული სიტუაციის ლიკვიდაციისათვის. მან გამოთქვა იმედი, რომ მალე განახლდება ჟენევის ფორუმი და გადაეჭრება პალესტინის პრობლემა, რომელიც „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის თავიდათავია“.

„არაბი ერისათვის ზურგში ხანჯლის ჩაცემა“ უწოდა ეგვიპტის პრეზიდენტის ნაბიჯს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მეთვალყურემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ზ.-ლ. ტერაზიმ. ლიბიის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მ. რ. ტეხიმ განაცხადა, რომ სადათის ისრაელში გამგზავრებამ „ავნო არაბი ხალხების გამათავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ“.

საგულისხმოა, რომ ეგვიპტეხა და ისრაელის ორმხრივი კონტაქტების ქომაგებად გამოვიდნენ მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. დასავლეთში ფართო კამპანიაა გაჩაღებული ისრაელში სადათის ვიზიტის მხარდასაჭერად. ეერთის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებები, რომელიც როგორც ბრესა აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით არის მიღებული, ისიც კი სკკადეს, **რომ სადათის ვიზიტი ისრაელში ლამის „გადამწყვეტ ნაბიჯად“ წარმოესახათ ახლო აღმოსავლეთში „ნამდვილი“ მშვიდობის დამყარების გზაზე.**

ამასთანავე, როგორც ხაზღვარგარეთის, მათ შორის ამერიკის პრესა აღნიშნავს, ტელავივმა იერუსალიმში სადათის ვიზიტის შემდეგ გააქტიურა კურსი, რათა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის ყოვლისმომცველი მოწესრიგება გააიგივოს არაბულ ქვეყნებთან დადებულ ორმხრივ გარიგებებთან, და იმედი აქვს, რომ ჟენევის ხაზით კონფერენციის მხოლოდ იმისათვის გამოიყენებს, რომ მოაწონებინოს მის ფარგლებს გარეთ მომზადებული შეთანხმებანი. როგორც საინფორმაციო საგანგებოებში ეუწყებიან, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაიინმა თქვა, რომ დაგეგმილია განხორციელდეს ისრაელ-ეგვიპტის ფართო საიდუმლო კონტაქტები „მეიერ დიპლომატიურ ტენზე“ და „ინტენსიური ტემპით“, რათა ისრაელმა განამტკიცოს და გაფართოოს მიღწეული შედეგები.



იბრძვიან უფლებებისათვის

„მეეცით ახალგაზრდობას შრომის უფლება“ — ასეთი იყო ნიუ-იორკში გამართული დემონსტრაციის (სურათზე) მონაწილეთა მთავარი ლოზუნგი.

ამერიკის ამ უდიდეხი ქალაქის 400 ათასამდე შრომახუნარიან მცხოვრებს დღემდე ვერ მოუნახავს რაიმე სამუშაო ადგილი. მთლიანად ქვეყანაში უმუშევართა რიცხვმა ხაღდეიხოდ 7 მილიონს გადააჭარბა. ამავე დროს ბურჟუაზიული პრესა იძულებულია აღიაროს, რომ ეს მონაცემები ხულაც არ ახასავს ნამდვილ სურათს. ბევრმა საერთოდ დაკარგა სამუშაოს შოვნის იმედი და აღარც შრომის ბირჟას აკითხავს, აღრიცხვაზე რომ დადგეს.

ბელგრადი

გაანიხილავენ საბჭოთა წინადადებებს

ბელგრადი. 23 ნოემბერი. (საკადესი). ბელგრადის შეხვედრის მონაწილეებმა დაიწყეს ევროპის სამხედრო დაძაბულობის ბინა მიზნით მიქმედების საბჭოთა პლატფორმის განხილვა, რომელიც წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევმა 21 ოქტომბრის სიტყვაში. პლატფორმისადმი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ მასში აღძრულია სერიოზული პრობლემები, რომლებიც აღელვებს ევროპის ხალხებს, და რომელთა გადაჭრა მნიშვნელოვნად წასწევდა წინ ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს. პლატფორმა ეხება ბევრ მნიშვნელოვან საკითხს, რომლებსაც ბელგრადის ფორუმი ახლავს, განაცხადა დისკუსიის დროს სსრ კავშირის წარმომადგენელმა. იგი შეიცავს კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც განკუთვნება, როგორც უშიშროებისა და განიარაღების მნიშვნელოვან ასპექტებს, ისე ნდობის განმტკიცების ღონისძიებებსაც. წინადადება იმის შესახებ, რომ ევროპის თათბირის მონაწილეებმა დადონ ხელშეკრულება — ერთმანეთის წინააღმდეგ პირველებმა არ გამოიყენონ ატომური იარაღი, მიზნად ისახავს, რომ აღმოფხვრილ იქნეს ევროპის ჰორიზონტზე ატომური კონფლიქტის საშიშროება, თავიდან აცილონ ევროპის ყველა ქვეყანას ატომური კატასტროფის საფრთხე. მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის ზრუნვითაა გამსჭვალული აგრეთვე წინადადება იმის შესახებ, რომ ახალი წევრების ხარჯზე არ გაფართოვდეს ევროპის დაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებები და კავშირები. ნდობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა წინადადების მიღებას — არ მოეწყოს სამხედრო წვრთნა 50-60 ათასზე მეტი კაცის მონაწილეობით, რადგან დიდი მანევრები შეშფოთებასა და ეჭვს იწვევენ, მათ აღიქვამენ, როგორც ძალის დემონსტრაციას. საბჭოთა წარმომადგენლის თქმით, საკითხები, რომლებსაც პლატფორმა შეიცავს, აგრეთვე სხვა კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც ვერ გადაწყდება ბელგრადის შეხვედრაზე, შეიძლებოდა უახლოეს დროში განხილათ სპეციალურ კონსულტაციებზე.

დ. დიმოვი.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

□

საბჭოთა კულტურის დღეები

● **მეხიკო.** მექსიკის დედაქალაქის უდიდეს დარბაზში — „არენა დე მეხიკოში“, რომელიც საზეიმოდ არის მორთული სსრ კავშირისა და მექსიკის სახელმწიფო ალმებით, გაიმართა მექსიკაში საბჭოთა კულტურის დღეების გახსნის ცერემონია.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას „მექსიკელ ხალხს მექსიკაში საბჭოთა კულტურის დღეების მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები.

აღინიშნა, რომ ეს შეთანხმება ხელს შეუწყობს საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერთა კონტაქტების შემდგომ განმტკიცებას, საესებით შეესაბამება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეცნიერულ და კულტურული გაცვლის ხელშეკრულებას, იმ პრინციპებს პრაქტიკული განხორციელების მაგალითი იქნება, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმებაში.

(საქინფორმი).

ბელგრადი

ვითარება აფრიკის რქის რაიონში

ადის-აბება, 23 ნოემბერი. (საკადესი). როგორც ეთიოპიის ახალი ამბების საგენტო იუწყება, ეთიოპიის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში ვრძელდება ბრძოლები აქ შემოჭრილ ხომალის ჯარებთან. გასულ კვირაში ხომალის მხარემ ბრძოლების დროს 100-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა. ეთიოპიის სახალხო შეიარაღებულმა ჯარებმა და მილიციის რაზმებმა ჩარარგისა და სიდამოს პროვინციებში ხელთ იგდეს დიდძალი ალაფი.

ეთიოპიის ახალი ამბების საგენტო იუწყება, რომ ოქტომბერში ეთიოპიის აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთის რაიონებში გამართული ბრძოლების დროს ხომალის არმიის ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა.

ხომალის რეგულარული ჯარები მათ მიერვე შექმნილი ეგრეთ წოდებული „დასავლეთ ხომალის განთავისუფლების ფრონტის“ მხარდაჭერით გამოუცხადებელ ომს ეწევიან ეთიოპიის ტერიტორიაზე. ხომალის ტერიტორიული პრეტენზიები ეთიოპიისადმი კიდევ უფრო აღვივებს კონფლიქტს ფორიის რქის რაიონში.

ბელგრადი

ატომური ენერგეტიკა

ატომური ელექტროსადგურები

ატომური ენერგეტიკა ამჟამად ინტენსიურად ვითარდება. ეს ენერგეტიკა ეფუძნება ურანის, ბერილიუმის, ლითიუმის, ბორის, ნეიტრონების, ელექტრონების, ფოტონების, ალფა ნაწილაკების, ბეტა ნაწილაკების, ბეტა ნაკადების, ბეტა სხივების, ალფა სხივების, ბეტა ფოტონების, ალფა ფოტონების, ბეტა ელექტრონების, ალფა ელექტრონების, ბეტა ბირთვების, ალფა ბირთვების, ბეტა ბირთვების, ალფა ბირთვების, ბეტა ბირთვების, ალფა ბირთვ

XXV

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი ხორციელდება

ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი

შემოდგომის თითქოს საგანგებო ნათელი თბილი და მზიანი ამინდი იყო გუშინ რუსთავში. ინდუსტრიული ქალაქი სტუმრებს ელოდა. ქუჩები და მოედნებიც, საწარმოთა შესასვლელებიც და საამქროებიც განსაკუთრებით სუფთად და ლამაზად გამოიყურებოდა.

ორიოდე დღის წინათ, როცა ამ ქალაქის საწარმოთა წარმომადგენლები სხვებთან ერთად ეწვივნენ ბათუმისა და ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებს, თვითონ იყვნენ სტუმრები. ახლა კი როლები შეიცვალა — ისინი მასპინძლები არიან და ცდილობენ ღირსეულად დახვდნენ მოწვეულებს.

აქ ჩამოვიდნენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი.

... კონფერენც-დარბაზი. პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. გიორგაძე კონფერენციის მონაწილეებს უამბობს ქალაქის მშრომელთა მიერ საიუბილეო წელს მოპოვებულ წარმატებებზე.

— ქალაქის პარტიულ ორგანიზაციის წარმოების ეფექტიანობის, ხარისხისა და მართვის მეთოდების გაუმჯობესების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა იმის შედეგად მიიჩნია — ამბობს რ. გიორგაძე, — რომ საწარმოებში ფართოდ დაინერგა პროდუქციის ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემა. ხარისხის მართვა პარტიული საქმეა და იგი მუდამ საქალაქო კომიტეტის ყურადღების ცენტრშია.

ამ ძირითადი პრობლემების გადაჭრისათვის დაისახა პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ვრცელი პერსპექტიული გეგმა, რომელიც თითქმის წლინახევრის წინათ შეიმუშავა პარტიის საქალაქო კომიტეტის III პლენუმმა, რომელიც ხარისხის ამაღლების საკითხს მიეძღვნა. პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ამახვილებდნენ მშრომელთა ყურადღებას პროდუქციის ხარისხის, მისი ტექნიკური დონის ამაღლებაზე, საიმედოობასა და გამძლეობაზე.

გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ფართოდ გაჩაღებულმა მუშაობამ სწრაფად მოგვცა ნაყოფი. შეიქმნა პროდუქციის ხარისხის მართვის საქალაქო კომპლექსური მეთოდური სისტემა, გაიხსნა საინფორმაციო ცენტრი და მეთოდური კაბინეტი. თუ შარშან წელიწადის პირველ ნახევარში

ახალი გამოცდილებით

რეპორტაჟი

ქალაქში არ გვქონდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი არც ერთი ნაწარმი, ახლა უკვე ოცი სახეობის პროდუქციას აქვს იგი მინიჭებული და მისი ხვედრითი წონა მთლიანი პროდუქციის მოცულობის 9 პროცენტს აღწევს.

ხარისხის გაუმჯობესების და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობებია წარმოების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, რაც ქალაქში ფართო მასშტაბით ხორციელდება, და რუსთაველ მეტალურგთა ფართოდ გავრცელებული ინიციატივა.

სტუმრებს დაურიგდათ კონფერენციასთან დაკავშირებით გამოშვებული სპეციალური ბუკლეტები „ქ. რუსთავის პარტიული ორგანიზაციები მაღალი ხარისხისა და მოგების ეფექტიანობის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობა, სტუმრები საამქროების დათვალიერებას შეუდგნენ. მათ მრავალი საამქრო მოიარეს, მრავალ ტექნიკურ საახლეს გაეცნენ და ბევრი უნიკალური მოწყობილობა ნახეს, რომლებიც ხელს უწყობენ და უზრუნველყოფენ თანამედროვე დონეზე წარმოების მართვას და ხარისხის ამაღლებას.

შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

...მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო, გუგუნებენ ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული ფოლადსადნობი ღუმელები. ახსნა-განმარტებას საამქროს უფროსი გ. ქაშაკაშვილი იძლევა. ყველა დიდი ინტერესითა და მოწონებით ათვალიერებს ადგილს, სადაც ჩარმოების ეფექტიანობისათვის ბრძოლაში“.

კონფერენციის მონაწილენი სამ ჯგუფად გაიყვნენ და პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნების რ. გიორგაძის, თ. ხაზარაძის და ს. ამირიძის მეთაურობით სამი ძირითადი საწარმოსაკენ — მეტალურგიული, ქიმიური ბოჭკოს ქარხნებისა და ქიმიური კომბინატისაკენ გაემართნენ...

ქარხნების დირექტორების ო. სულაძის, გ. გოგილაძისა და ი. გრძელიძის ხანმოკლე საუბრის შემდეგ, რომლის დროსაც საწარმოთა ხელმძღვანელებმა მოკლედ გაცნეს მათთან ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობისათვის

რესპუბლიკურ

...ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში სტუმრებს ტექნიკური და ტექნოლოგიური სქემები გააცნო და ხარისხის ამაღლებისათვის ქარხანაში გაწეულ მუშაობაზე ელაპარაკა მთავარი ინჟინერი ბ. გოგუაძე.

დადგა დრო და სამად განაწილებული ჯგუფი მოვიდა ხარისხის სახლში, სადაც თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები რუსთავის ქარხნებისა და საამქროების ორგანიზაციების მიერ ხარისხის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობა. სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ ქალაქის საწარმოთა პროდუქციის ცალკეულ სახეობათა ნიმუშებს, ხარისხის მართვის სხვადასხვა სქემას, სპეციალური მეთოდიკური ლიტერატურის, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის, სტანდარტების ფონდებს.

მდიდარი შთაბეჭდილებით გამოეთხოვნენ რუსთავს დღეანდელი კონფერენციის მონაწილენი.

ს. ხარაზიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მიღწეული ზღვარი როდია

დამმთანხმებით, თანამედროვე მოდის კოსტად შეკერილი ტანსაცმელი კარგ გუნებაზე აყენებს ადამიანს. ეს ბარემოება დიდი ხანია ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის საერთო საზრუნავი გახდა. ამიტომ არის, რომ ჩვენთან გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი მუდმივი პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

ყურადღების ცენტრშია წარმოების ეფექტიანობაც. გასულ ათ თვეში პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებასთან ერთად 2,5 პროცენტით გავზარდეთ შრომის ნაყოფიერება. ამასთან გავასაღეთ 442 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი, ვიდრე ამას ჩვენი დაკვალება ითვალისწინებდა. როგორ? იმით, რომ ჩვენი პროდუქციის 98,5 პროცენტი პირველი ხარისხის კატეგორიით მზადდება და ცხრა მოდელის ტანსაცმელს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს მინიჭებული. ეს მთლიანი პროდუქციის მოცულობის 12,1 პროცენტს შეადგენს.

მომხმარებელმა უკვე მიიღო 2.852 ათასი მანეთის საპატიო ხუთკუთხა ნიშნიანი ტანსაცმელი. სიახლის ინდექსით გამოშვებულია 731 ათასი მანეთის პროდუქცია. წლის ბოლოამდე შეკერავთ და სახელმწიფო ნიშნით მომხმარებელს კიდევ მივაწვდით მილიონი მანეთის ნაწარმს.

მიღწეული ზღვარი როდია. ამჟამად დანერგვის პროცესშია პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა. ამასთან რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან არსებულმა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრმა ჩვენი საწარმოსათვის შეიმუშავა სპეციალური სტანდარტები, რომელთაგან 18 უკვე დაინერგა წარმოებაში. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ფაბრიკის კოლექტივის პოზიციებს მეათე ხუთწლედში მის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. მაგრამ ერთიც უნდა ითქვას: შემდგომშიაც რომ შეინარჩუნოთ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპები (საპროექტო სიმძლავრე უკვე 99,6 პროცენტით ავითვისეთ), აუცილებლად უნდა გადაწყდეს ჩვენი ფაბრიკისათვის დამატებითი საწარმოო ფართობის გამოყოფის საკითხი, რომელიც ზემდგომი ორგანოების წინაშე დავაყენეთ. ეს უზრუნველყოფს მიმდინარე ხუთწლედში წარმოების მოცულობის 24 პროცენტით გაზრდას.

— საიუბილეო წელს — დამკვრელური ფინიშში! ამ ლოზუნგით მოიმბენენ დღეს ჩვენი მკერავები, რომელთა შორის ბევრი სახელოვანი მუშაა. ესენი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ვ. პისარევა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ციცაგი, წარმოების მოწინავენი თ. ზეიკიძე, რ. სოკურაშვილი და მრავალი სხვა, რომლებიც საუკეთესო შრომითს მაგალითს იძლევიან ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის ბრძოლაში.

ე. არონიშიძე,

თბილისის № 1 ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი.

 სურათზე: თბილისის № 1 ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის № 4 საამქროს მწინავე მკერავები (ბარცხნიდან) ლ. ბუხანკოვა, ლ. ვარდიძე, და ე. ოთოიშვილი, რომელთა წახელავს ხარისხის ნიშანი ამშვენებს.

ფ. ბოგოსიას ფოტო.

ნოვატორებს შესწორებები შეაქვთ

ქუთაისელი ავტოქარხნელები, რომლებიც ჯერ კიდევ სულ ახლახან მოსკოვის „ზილისაგან“ იღებდნენ სხმულ ნამზადებს, ახლა თვითონ აწვდიან მათ მოსკოველებს, კრემენწუგისა და ბრიანსკის ავტოქარხნებს, სტავროპოლს, ვოსსნოიარსკისა და ორსკის ნახევარმისაბმელების ქარხნებს.

ქუთაისის ავტოქარხნის რუხი თუჯის საამქროში მკვეთრად გაუმჯობესდა სხმულის ხარისხიც. უკანასკნელ წლებში წუნი ერთიანად შემცირდა და გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლებია.

წარმოების ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე ეფექტიანობის ზრდას დიდად შეუწყო ხელი რაციონალიზატორთა შემოქმედებითმა ბრიგადამ, რომელშიც შედიან ინჟინრები. ტექნიკოსები, ნოვატორი მუშები.

ბრიგადის უმთავრეს საქმედ იქცა სხვადასხვა მიმწოდებლებისაგან მიღებული სხმული თუჯის ყველა მეტალურგიული თვისების შესწავლა. ეს საქმე დაიწყო და მიმდინარეობდა საამქროს უფროსის ყოფილი მოადგილის, ამჟამად ქარხნის მთავარი მეტალურგის მოადგილის უშანგი მიქაძის ინიციატივით.

საამქრომ კარგა ხანია მნიშვნელოვნად გადააჭარბა თავის თავდაპირველ საპროექტო სიმძლავრეს: ამას, კერძოდ, ხელი შეუწყო ყველა სადნობი ღუმელის თანამიმდევრულმა რეკონსტრუქციამ, რომელიც უშუალო მონაწილეობა მიიღო ნოვატორთა ბრიგადამ.

დნობის პროცესის ინტენსიფიკაციაზე გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გახდა ვიბროფარების მეშვეობით ღუმელებში კაზმის ჩაყრის მექანიზაცია, რაც კოლექტივმა განახორციელა, ამ ღონისძიებამ 40 პროცენტით შეამცირა ოპერაციების შრომატევადობა, ხოლო კოპის შესანახი მექანიზებული საწყობის შექმნამ ხელი შეუწყო საწარმოო ფართობის რაციონალურ გამოყენებას, გამორიცხა ხელის შრომა, 8 პროცენტამდე შეამცირა მასალების დანაკარგები.

— ქარხანაში მოქმედებს 16 შემოქმედებითი ბრიგადა, რომლებმაც გაერთიანებულია დაახლოებით 150 კაცი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქარხნის მთავარმა მეტალურგმა ბ. კობახიძემ. — მეათე ხუთწლედის დამდეგიდან მათ შემოიტანეს 500-მდე წინადადება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება სამსხმელო წარმოებას.

ამ წინადადებების დანერგვისა და ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოების გამოცდილების გამოყენების შედეგად სხვულის ხარისხის გაუმჯობესებამ გავლენა მოახდინა ქარხნის ძირითად პროდუქციის — საწევარი „კაზ-608 3-ს“ მოტორესურსის ამაღლებაზე, რომელსაც ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა.

ჩვენი მთავარი საზრუნავი

ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხანას, ქართული მეტალურგიის პიონერს, ახლა საკავშირო ქარხანა-ლაბორატორიასაც უწოდებენ. ეს ტიტული მოპოვებულია მეცნიერებთან მჭიდრო კავშირით, შემოქმედებითი კავშირებით, მეტალურგთა დაძაბული შრომით. მრავლისმეტყველია თუნდაც ის თვალი, რომ ზესტაფონური მარკით შექმნილია ათობით სხვადასხვა სახის კომპლექსური გამოანგაჯელი, აქ შემოშავდა მათი ტექნოლოგია და შემდეგ საგზური მიეცა ქვეყნის სხვა ქარხნებში სერიული წარმოებისათვის.

გასული ქარხანას 45 წელი უსრულდება. ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე არსებითი ცვლილებები მოხდა საწარმოს ტექნიკურ აღჭურვილობაში, წარმოების ტექნოლოგიაში, სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. თუ პირველ ხუთწლედში, მაგალითად, ლითონის გამოდნობას, აწარმოებდა რამდენიმე ღუმელი, დღეს მძლავრად გუგუნებს სამი სადნობი და ერთიც მთელ ქვეყანაში უნიკალური ელექტროლიზური საამქრო. გაფართოვდა „მეტალურგიული სამზარეული“, ახლა ჩვენი მარკით მზადდება ფერომანგანუმი, სილიკომანგანუმი, საშუალო ნახშირბადიანი მანგანუმი, ნახშირბადიანი მანგანუმი და ზესუფთა ელექტროლიტური ლითონური მანგანუმი და სხვა. გარდა ამისა, სპეციალური დაკვეთებით ვაწარმოებთ უნიკალურ კომპლექსურ გამოანგაჯელებს განსაკუთრებული დანიშნულების ფოლადების ლეგირებისათვის.

ბევრ რამეს მივაღწიეთ, მაგრამ ეს მაინც არ კმარა ამ გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც ქვეყნის შავი მეტალურგიის მრეწველობას დაუსახა XXV ყრილობამ. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა საწარმოს გაფართოება-რეკონსტრუქცია, ტექნიკური განახლება, ახალი ტექნოლოგიური რეჟიმების დამუშავება, ეკონომიკური ეფექტის ზრდა, პროდუქციის მსოფლიო სტანდარტების დონემდე ამაღლება და საერთო საწარმოო სიმძლავრის გადიდება.

სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, მინიმალური დანახარჯებით რეკონსტრუქცია გავუკეთეთ № 2 საამქროს, რეა სადნობ ღუმელს. წელსვე დამთავრდება მეცხრე ღუმელის რეკონსტრუქციაც, რომელიც მომავლისთვის არის ნაგრაფუდევი. ახლა ეს საამქროს საპროექტო სიმძლავრესთან შედარებით 1,4-ჯერ მეტ ლითონს აძლევს, მოვიდა გაიზარდა 25 პროცენტით. მეტალურგიაში ძალზე დიდი მოთხოვნაა ამ საამქროს მიერ წარმოებულ საშუალონახშირბადიან ფერომანგანუმზე, რომელიც მომავალი წლისათვის წარდგენილი იქნება ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე.

დიდ სახალხო საქმედ შეიძლება ჩაითვალოს პირველი საამქროს სამ ღუმელზე გაზმტკიცრდამჭერი მოწყობილობის გაკეთება. ამან საგრძნობლად შეამცირა ატმოსფეროს გაჭუჭყიანება. დავამთავრეთ დანარჩენ სამ ღუმელზე ასეთივე მოწყობილობის მონტაჟისათვის საამშენებლო სამუშაოები. მალე ეს ყველაზე მტკივნეული პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება ჩვენი ამოცანები წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში. მეათე ხუთწლედის ბოლოსკენ 35 პროცენტით გაფიდდება მეოთხე სადნობ საამქროში მოქმედი სიმძლავრეები. უკვე დაიწყო ორი ზემძლავრი 75 მეგავატიანი სადნობი ღუმელების მშენებლობა, რომლებიც წელიწადს 142 ათას ტონა ლითონს აწარმოებენ, მათი დამთავრება ნავარაუდევია 1978 წლისათვის.

დიდ საწარმოო ეფექტს მოგვცემს მშენებარე აგლომაბრიკის ამუშავება, რომელიც მომავალი წლისათვის არის გათვალისწინებული.

დაგეგმილი გვაქვს ბევრი სხვა სიახლეც, რომელთა განხორციელებაც ხუთწლედის ბოლოსათვის თითქმის ორჯერ გაზრდის ჩვენს მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე და 3 მილიარდ კილოვატსაათს მიაღწევს. ენერგიის ასეთი უდიდესი მომხმარებელი ჩვენს საქართველოში არ არის. ამიტომ ეს გარემოება დროულად უნდა გაითვალისწინონ რესპუბლიკის „საქმთავარენერგოს“ მესვეურებმა.

რეკონსტრუქციის პარალელურად ქარხანაში დიდი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს მეცნიერებთან ერთად ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის. წელს წარმოებაში მოვაფენეთ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჭიათურის ოარიან მანგანუმის მადნების გამოყენების პრობლემებზე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის, საქართველოს ჯ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, ჭიათურელმა მაღაროელებმა და ზესტაფონელმა მეტალურგებმა პრაქტიკული გადაწყვეტა მოუნახეს ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. ბალი გადაწყვეტეთ კიდევ ერთ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის დიდ საკითხს. იგი ეხება თერმული დამუშავების შემდეგ ტყიბულის ღარიბი, სუსტად კოქსვადი ქვანახშირების გამოყენებას ფერომანგანუმის მიღების ტექნოლოგიაში. ამ პრობლემის გადაწყვეტაში ჩვენთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომლებიც.

უკანასკნელ ხანს ქარხანაში აკვისებულია მეტალურგიული ნაგებენებისა და ჭიათურის ღარიანი მადნების კონცენტრატების ბაზაზე კომპლექსური გამოანგაჯელების და მოდიფიკატორების წარმოების მთელი სერია. ეს პროდუქცია აუცილებელი კომპონენტია ხარისხიანი ფოლადის წარმოებაში. იგი აუმჯობესებს ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის პროცესს და ჩრდილოეთის რაიონებისათვის საჭირო ლითონის თვისებებს.

ჩვენი ქარხნის კოლექტივის სტემატური ზრუნვის საგანია პროდუქციის ხარისხი. ამის პირდაპირი პასუხია ის, რომ ზესტაფონური წარმოების ნახშირბადიანი ფერომანგანუმი თავისი თვისებებით მაღლა დგას მსგავსი ლითონების მსოფლიო სტანდარტებზე. ეს პროდუქცია წარდგენილია ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე. გარდა ამისა, მომავალი წლისათვის ხარისხის ნიშანზე წარდგენილ გამზადებთ ორი სხვა პროდუქციას. საერთოდ ხარისხის მართვის სისტემის საქმნელ გეგმა თვალსაწინოებს, რ ხუთწლედის ბოლოსათვის მეოთ ჩვენი პროდუქციის 70 პროცენტ ხარისხის სახელმწიფო ნიშნით მოდიოდეს. ეს უაღრესად სა ტიო საქმეა და გაკეთდება „კიდ

ზესტაფონელი მეტალურგე ახლა იბრძვიან იმისათვის, რ დამკვრელური შრომით დაავგვინონ საიუბილეო წელი, რ თაც თავიანთ წვლილს შეიტან XXV ყრილობის გადაწყ ტილებათა განხორციელების ს მეში.

ა. ცქიტიშვილ

ზესტაფონის ფერომანგან ბოჭ ქარხნის დირექტორი.

დროის უპირველესი მოთხოვნა

სსკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია, რომ ყოველმა, ეშრომელმა უნდა იბრძოლოს, რათა მიაღწიოს უმაღლეს შედეგებს, მაქსიმალურად და გეგმაზომიერად გამოიყენოს მანქანები და აღჭურვილობა. ჩვენმა პროდუქციამ უნდა დაკმაყოფილოს მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება. იგი მხოფლიო სტანდარტების დონეზე უნდა იყოს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბათუმის ხამრეწველო საწარმოებში, როგორ იბრძვიან ისინი ეფექტიანობისა და ხარისხის მაჩვენებლების ამაღლებისათვის, როგორ ეხმარება მათ ამ პასუხსაგები ამოცანის გადაჭრაში პარტიის საქალაქო კომიტეტი?

პირველი ნაბიჯები

ელექტრომექანიკური ქარხანა ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. მისმა კოლექტივმა რა ხანია თავის საბრძოლო ამოცანად დაისახა მუშაობის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. საამისოდ შეადგინეს სამოქმედო გეგმა, რომელსაც ქარხნის ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებში გარდატეხა უნდა მოეხდინა. მომდევნო პერიოდში ქარხნის ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფამ, სისტემატურმა განახლებამ, კომერციული საქმიანობის გაუმჯობესებამ, პიველადი აღრიცხვის განმტკიცებამ, ინჟინერ-ტექნიკური პერსონელის ეკონომიკური ცოდნის განუხრელმა ზრდამ და მატერიალური სტიმულირების უნარიანად გამოყენებამ კარგი ნაყოფი გამოიღო.

70-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში დაიწყო საუკეთესო პროდუქციისათვის სახელმწიფო ხარისხის მინიჭება. ამ პერიოდისათვის ბათუმურ ელექტროკარებს მომხმარებლს შორის უკვე მოხვეჭილი ჰქონდათ სახელი, წარმატებით იყო ექსპონირებული მსოფლიოს ბაზრობებსა და გამოფენებზე, მათი შეძენა მოისურვა ათობით კაპიტალისტურმა ქვეყანამ. ქარხნის კოლექტივს, თავის მხრივ, ძალ-ღონე არ დაუზოგავს, რომ ელექტროფრიკები მუდამ მსოფლიო სტანდარტების დონეზე ყოფილიყო. და აბ, პროდუქციის სრულყოფის, საექსპლოატაციო და ტექნიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით მათ კავშირი დამყარეს კალინინგრადის მეთაურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. მეცნიერებთან კონტაქტმა სასურველი ნაყოფი გამოიღო. ელექტრომექანიკოსებმა პირველი გამარჯვება 1972 წელს იზეიმეს — **მათს პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა.**

ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით ელექტრომექანიკურ ქარხანაზე, რომ კოლექტივმა პირველი ნაბიჯებიდან გამარჯვებამდე საკმაოდ რთული და ძნელი გზა განვლო, დაახლოებით ასეთივე რთული გზა განვლეს სხვა საწარმოებმაც, რომლებიც მოწინავეთა რიგში დგანან და მათი პროდუქცია დღეს უმაღლესი ხარისხისაა.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი, ხელმძღვანელობდა რა ზემდგომი ორგანოების დადგენილებით სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, სათავეში ჩაუდგა შრომითი კოლექტივების ბრძოლას ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის. შრომითის კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა დევიზით „ვიმუშაოთ უკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი“.

ქალაქის პარტიული და სამეურნეო ორგანოები ხარისხისათვის ბრძოლას შრავალმხრივად მიუდგნენ, პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება გახდა მათი მთავარი საზრუნავი. ისინი გაეცნენ მოსკოვის, ლენინგრადის, იაროსლავლისა და სხვა ქალაქების სამრეწველო კოლექტივების გამოცდილებასა და იწყის ბრძოლა მისი გამოყენებისათვის.

შემდგომში საჭირო გახდა ხარისხისათვის ბრძოლის კომპლექსური სისტემის შექმნა, რათა წარმოების ყველა ეტაპზე დაეცვათ ხარისხი, სრულყოფილი გახადათ მართვისა და შრომის ორგანიზაცია, გაეუმჯობესებინათ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, აღეზარდათ კადრები, აემაღლებინათ მშრომელთა ტექნიკური და პოლიტიკური ცოდნის დონე.

ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებთან ერთად საქალაქო კომიტეტმა შეისწავლა პროდუქციის ნომენკლატურა და შეარჩია ისეთი, რომელსაც მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა ჰქონდა წარმოებაში, და ამასთანავე ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლებით აკმაყოფილებდა ატესტაციასა და სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა საქალაქო კომიტეტთან შექმნილ პროდუქციის ხარისხის კომისიას. კომისია სემინარებს მართავდა ატესტაციის ერთიანი სისტემის საკოორდინაციოდ, მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია პროდუქციის ხარისხის საკითხებზე. კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები და დასახა პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული გზა. ამის შემდეგ საქალაქო კომიტეტის პარტიული და სამეურნეო ფილიალი ბოსკოვის ოლქში გაემგზავრა ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში მიტაშჩელთა გამოცდილების შესასწავლად. ასეთ პრაქტიკულ ნაბიჯებს შესანიშნავი შედეგები მოჰყვა.

ქალაქის ყველა საწარმომ შეიმუშავა კონკრეტული გეგმები „მაღალი ხარისხის წლის“, „ხარისხის ორთვიურების“ ჩასატარებლად, ხოლო საქალაქო კომიტეტმა თავის მხრივ შეადგინა ორგანიზაციულ-ტექნიკური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ღონისძიებათა გეგმა, სადაც მთავარი ყურადღება დაეთმო ხარისხის მართვის გაუმჯობესებას. ბიური ყოველ თვეს ისმენდა ინფორმაციებს ხარისხისათვის ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ, ხარისხის საკითხებზე ეწყობოდა კონფერენციები.

შედეგმა არ დააყოვნა

ცნობილია, რომ იქ, სადაც მაღალია ადამიანთა შეგნება, უფრო ადვილად წყდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხები. მშრომელთა შეგნების, მათი პოლიტიკური და ტექნიკური მომზადების ამაღლებლად ბათუმის პარტიული ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწევა. მშრომელთა ideოლოგიურმა უზრუნველყოფამ, ტექნიკური პერსონალის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საერთო და ერთსულოვანმა ბრძოლამ განაპირობა წარმატებები. ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორს მ. დოლიძეს ვთხოვეთ დაესახელებინა მოწინავე მუშები, ბრიგადები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ხარისხისათვის ბრძოლაში, მისი პასუხი ასეთი იყო: წარმატებებს მთელი კოლექტივი ერთსულოვნად და მხარდამხარ ქედავდაო.

ქალაქის მრეწველობის აღმასკომაც სწორედ ასეთი კოლექტივების გარჯის შედეგია. მოვიყვან რამდენიმე ციფრს — 1974 წელს ბათუმში ხარისხის ნიშნით გამოდიოდა საერთო პროდუქციის 1,8 პროცენტი, 1975 წელს — 12,6 პროცენტი, 1977 წლის პირველ ნახევარში — 21,1 პროცენტი. როგორც ვხედავთ, ქალაქის მრეწველობა უოველწლიურად იზრდება ხარისხის ნიშნით. ეს ბარემ ბევრ საქმეზეა ლაპარაკი. ეს ბარემ ბევრ ადამიან

მთამსვლელი, მოჭალაქე

ივანე (კაკო) მარის დაბადებიდან 75 წლისთავის გამო

ჩვენ არ ვიცით, თუ რა გზით გავიდა მყინვარწვერზე იოსებ მოხევე — პირველი ქართველი მთამსვლელი, ანდ მისი ასვლის ზუსტი თარიღი ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ ეს იყო ერეკლე II-ის დროს. შესაძლებელია, რომ ეს მოხდა 1786 წელზე უფრო ადრე, როდესაც მ. პაკარმა და ჟ. ბალმამ მიაღწიეს მონბლანის მწვერვალს. თუ ეს ასეა, მაშინ მსოფლიოში პირველი მთამსვლელები მ. პაკარი და ჟ. ბალმა კი არ ყოფილან, არამედ ქართველი იოსებ მოხევე, ხოლო ალპინიზმის სამშობლო პაკავასიონია და არა ალპები.

იოსებ მოხევის შემდეგ მყინვარწვერზე პირველი ავიდა ინგლისელი დუგლას ფრეშფილდი. მისი ასვლის თარიღი ცნობილია: 1868 წელი, ცნობილია მისი ასვლის გზაც. მან ბერერი აუარა სტეფანწმინდის მხრიდან მოქცეულ მყინვარწვერის ქარაფებს — გველივლაბის კლდეს. ფრეშფილდის შემდეგაც მყინვარწვერზე ყველა ამსვლელი დეედორაკის ან გეორგიუს მყინვარის გაელით ადიოდა: ბრცერთ მათგანს არ უცდია რთული და სამიზი გველივლაბის კლდის დაძლევა, თუმცა ეს გზა უმოკლესია მწვერვალისაკენ.

მხოლოდ 1932 წელს ზოთა მიქელაძემ მიიტანა იერიში მყინვარწვერზე გველივლაბის კლდით, მაგრამ ქარაფის თავზე მოწყდა და დაიღუპა.

ხაქართველოში ალიოშა ჯაფარიძემ, ჩვენმა შესანიშნავმა მთამსვლელმა, დაამკვიდრა ტრადიცია: დაღუპული მთამსვლელის გზა არ შეიძლება დარჩენილიყო გაუვლელი და აი, ზოთა მიქელაძის დაღუპვის სულ რამდენიმე დღის შემდეგ, გველივლაბის კლდით მყინვარწვერზე ავიდნენ მისი უახლოესი მეგობრები მთამსვლელები: დავთა წერეთელი, ასმათ ნიკოლაძვილი, იაგორ კაზალიკაშვილი, ნიკო ჭირიკაშვილი და სხვები. მათთან ერთად იყო კაკო მარიც. იმ შორეული 1932 წლის სექტემბრის დღიდან მოყოლებული ჩვენი მთამსვლელობა განუყოფლად დაკავშირებულია კაკო მარის სახელთან.

ოდესაც ვიფსებთ ადამიანის მიერ განვლილ გზას, მის სამოღვაწეარს, უპირველეს ყოვლისა უნდა შევარჩიოთ საზომი, მთამსვლელისათვის ასეთად უნდა მივიჩნიოთ ის, თუ რა ახალი შემოიტანა მან ალპინიზმში, რა პრობლემები გადაწყვიტა; ვინაიდან ალპინიზმს, ისევე როგორც ყველაფერს, რაც ვითარდება, აქვს თავისი ისტორია, განვითარების სიძნელეები და ამდენად პრობლემებიც. კაკო მარიც სწორედ ამით არის ჩვენთვის ძვირფასი. მან ბევრი სიახლე მოგვიტანა ალპინიზმში, მრავალი პრობლემა გადაწყვიტა და ბიძგი მისცა ჩვენს ქვეყანაში ალპინიზმის შემდგომ განვითარებას.

ამ მხრივ ნიშანდობლივი იყო კაკო მარის პირველივე ასვლა მყინვარწვერზე, როდესაც პირველად იქნა დაძლეული მყინვარის უძნელესი გზა და ამით, შეიძლება ითქვას, გადაწყდა მყინვარწვერზე ასვლის გზების პრობლემა.

1933 წელს ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფის შემადგენლობაში კაკო მარი იპყრობს თოთისა და თეთნულდის მწვერვალებს. ხოლო 1935 წელს დავით წერეთელთან ერთად სათავეში უდგას ფრუნზის სახელობის მე-2 ქართული მწროლელი დივიზიის ნაკრები ათასეულის ასვლას მყინვარწვერზე.

სრული სამხედრო საჭურველით მწვერვალზე ავიდა 316 კაცი და ატანილ იქნა ქვემოში. ქვემოხის მწვერვალზე ატანა დღეს შეიძლება მხოლოდ ატრაქციონად მოგვიჩვენონ, ვინაიდან ტექნიკამ სულ სხვა შესაძლებლობანი მოგვიტანა, მაგრამ 1935 წელს ეს იყო დიდმნიშვნელოვანი ამბავი. იმ დროს უკვე ამკარა იყო, რომ მზადდებოდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა, გერმანიის ფაშიზმი აღარ მალავდა ფეოქნებული, რაც მას ორგანიზებულ ფორმას, გვგმიან ხახიათს აძლევს და გამორიცხავს ბურჟუაზიული ალპინიზმისათვის დამახასიათებელ ანარქიზმს. ბანაკების ორგანიზაციამ საშუალება მისცა საბჭოთა ალპინიზმს რამდენიმე ათეულ წელიწადში გაეგვლო იგ მანძილი, რასაც ევროპული ალპინიზმი თითქმის ორას წელიწადს მოუნდა. ბანაკების შექმნა კავკასიონზე უცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწყო. მაშინ კავკასიონის მწვერვალებზე იშვიათად თუ შეხვდებოდით საბჭოთა მთამსვლელების ბარათებს, სამაგიეროდ მრავლად იყო უცხოელი მთამსვლელების შიერ დატოვებული ბარათები. და ჩვენს მთამსვლელთა შორის პოპულარული იყო ლოზუნგი; „გავწმინდოთ კავკასიონის მწვერვალები უცხოელ მთამსვლელთა ბარათებისაგან“. უცხოელთა ბარათები კი ძნელემისადგომ მწვერვალებზე იდო და იქ ასვლა არც ისე ადვილი იყო.

საჭირო გახდა ალპინისტური ტექნიკის ათვისება. ეს იყო საბჭოთა მთამსვლელობის ძირითადი ამოცანა და სწორედ ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურებოდა ალპინისტური ბანაკები.

საქართველოს მთამსვლელებს იმ პერიოდში ორი ბანაკი გადმოსცემს: მყინვარწვერთან დეედორაკის მყინვარზე და ჩრდილოეთ ოსეთში წეანის რაიონში. პირველ ჩვენს ბანაკებს სათავეში ჩაუდგნენ ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები და კაკო მარი. კაკო მარს წოლად ხვდა წეანის ბანაკი. იქ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართველ მთამსვლელთა შესანიშნავი გუნდი, რომელშიც შედიოდნენ ქალებში ონიანი, გენო რაზერი, არჩილ ლუდუშაური, ივგენი ფირგუფი და სხვები. ეს იყო ჯგუფი, რომელიც გამორჩეულია თავისი დახვეწილი ტექნიკით. მთამსვლელის ტექნიკური სრულყოფის საზომი დაძლეული კედელია. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელებმა საბჭოთა მთამსვლელებიდან პირველებმა, დავიწყეთ კედლების დაძლევა, ასეთი იყო 1937 წელს ბაბრილ ხერეიანის ჯგუფის ასვლა სამხრეთ უშბაზე ბელის მყინვარის მხრიდან. ასეთი იყო კაკო მარის ჯგუფის ასვლა წეანის რაიონში მწვეროვან სოლუტიზე კედლით 1938 წელს.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ კაკო მარი უბრუნდება სამოქალაქო ალპინიზმს. ეს იყო ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელობისათვის მძიმე წლები. 1945 წელს უშბაზე დაიღუპა ალიოშა ჯაფარიძე და მასთან ერთად ჩვენი საუკეთესო მთამსვლელები ქელეშში ონიანი და ნიკოლოს მუხინი. უშბის რაიონში გაიმართა სამშვიდელო-სამეიბო სამუშაოები, რომელთაც კაკო მარი ხელმძღვანელობდა.

დაღუპულ მთამსვლელთა გზა კარ დარჩენილა გაუვლელი. 1946 წელს კაკო მარი ადის ჩრდილოეთ უშბაზე იმ გზით, რომელზეც დაიღუპა ალიოშა ჯაფარიძე. ალიოშა ჯაფარიძეს დიდი ჩანაფიქრი ჰქონდა, რომლის განხორციელება მან ჯერ კიდევ ომისწინა წლებში დაიწყო. ეს იყო კავკასიონის ქედის უმაღლესი მონაკვეთის ტრავერსი. მხელდა-უშბის მწვერვალთა ჯგუფი ამ მონაკვეთის ტექნიკურად ყველაზე უფრო მძიმე და რთული უბანს წარმოადგენდა. ალიოშა ჯაფარიძეს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი ასეთი გეგმის მთელი სირთულე და გამსაკუთრებითი გულმოდგინებით ემზადებოდა მის განსახორციელებლად.

როცა ა. ჯაფარიძემ წამოაყენა იდეა — ერთად ყოფილიყო გაგლილი უშბისა და მის გვერდით მდგომი ხეოლდის მწვერვალები. ბევრს ეს წარმოუდგენლად ეჩვენა. მაგრამ კაკო მარს სწამდა, რომ ეს შესაძლებელი იყო და მან ენერგიულად მოამზადა ხელი დაღუპული მეგობრის საოცნებო გეგმის განხორციელებას.

ეს არ იყო ერთი და ორი წლის საქმეთა. 1947, 1948 და 1949 წლებმა დაძაბულ მზადებაში გაიარა. კაკო მარი ყოველ ზაფხულს უშბა-მხელდის რაიონში ატარებს, სწავლობს ტრასის ყოველ მონაკვეთს, საათებად ალაგებს გასავლელ მონაკვეთებს, არჩევს და ამზადებს ჯგუფის წევრებს. 1950 წლის გაზაფხულისათვის თითქოს ყველაფერი მზად იყო. დადგინდა ჯგუფიც: კაკო მარი (ხელმძღვანელი), ბექნუ ხერგიანი, ვოლოდიკა ზურაბიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, მაქსიმე გვარლიანი — შესანიშნავი ხუთეული, ერთადერთი ხუთეული, რომელსაც მაშინ შეეძლო ამ მძიმე და სასახელო პრობლემის გადაჭრა.

იმავე წლის აგვისტოში ჯგუფმა ერთი გადავლითი გაიარა ზხელდა-უშბის ყველა მწვერვალი. ეს იყო საბჭოთა მთამსვლელობის უდიდესი გამარჯვება. ზხელდა-უშბა თითქოს გვიკეტავდა წინსვლის გზას, მათი დაძლევით იწყებოდა ახალი ალპინისტური ეპოქა. ამიერიდან შეიძლებოდა გვეთქვა, რომ კავკასიონი დაძლეულთ და გზა პამირისაკენ გახსნილი იყო. მაგრამ კაკო მარი არ ამარებდა დამშვიდებას, პრობლემას პრობლემა მოსდევდა.

1955 წელს ბექნუ ხერგიანთან, ჭიჭიკო ჩართოლანთან და ილია გაბლაძთან ერთად კაკო მარმა გაიარა სამხრეთი-დასავლეთი კედელი — ეს იყო საბჭოთა მთამსვლელების მიერ გავლილი ყველაზე რთული კედელი. 1962 წელს კი კაკო მარი პამირის ექსპედიციას ხელმძღვანელობს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ივანე (კაკო) მარი არა მარტო შესანიშნავი მთამსვლელია, არამედ ასეთივე შესანიშნავი ორგანიზატორიც არის. ის არის საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი და რამდენიმე წლის განმავლობაში მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამჟამად კაკო მარი საქართველოს თმამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრია და ფედერაციის დისციპლინარული და ალპინისტ-ვეტერანების კომისიების თავმჯდომარე. არანაკლები ენერგია და შრომა კაკო მარმა შეალია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებას, სადაც მოღვაწეობს 1930 წლიდან და რომლის ვიცე-პრეზიდენტიც არის ამჟამად.

სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე, ორგანიზატორი, ახალგაზრდობის მეგობარი და დამრიგებელი, ასეთია სპორტის დამსახურებული ოსტატი ივანე (კაკო) მარი.

ოთარ გიგინეიშვილი.

ქართული ფილმების წარმატება

საგოთა სომხეთის დედაქალაქში მოეწყო კინოხელოვნების სამუალებით ესთეტიკური აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მოაწყო სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა იუნესკოს სამეცნიერო კინოს საერთაშორისო ასოციაციის მონაწილეობით.

სიმპოზიუმის პროგრამაში შედიოდა უკანასკნელ წლებში კინოს ცნობილი ოსტატების მიერ შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებების ჩვენება. ქართული საბჭოთა კინო სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო გ. შენგელაიას მხატვრული ფილმით „ფიროსმანი“ და ს. ჩხაიძის სატელევიზიო ფილმით „ძველი ქართული საგალობელი“. სპეციალისტებმა და კრიტიკოსებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართველი რეჟისორების ფილმებს. პროგრამის დამატებით უჩვენეს რეჟისორ თ. აბულაძის ახალი ფილმი „ნატვრის ხე“, რომლის წარმატებამ ყოველგვარ იმედს გადააჭარბა. დიდი ქება დაიმსახურა ოპერატორ ლ. ახელედიანის ნამუშევარმა.

სამივე ქართულმა ფილმმა საერთაშორისო სიმპოზიუმის საპატიო დიპლომები დაიმსახურა.

(საქინფორმი).

მაღალი შეფასება

ვაშინგტონი, 24 ნოემბერი. (საკდესის კორ.). ამერიკის დედაქალაქში თეატრალური საზოგადოება მაღალ შეფასებას აძლევს ვაშინგტონის უდიდეს საკონცერტო დარბაზში — ჯ. კენედის სახელობის ხელოვნებათა ცენტრში ორი ქართული კოლექტივის — საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლისა და თბილისის ბოლიფონიური გუნდის გამოსვლებს, რომლებიც საგასტროლოდ არიან შეერთებული შტატების ქალაქებში.

„ქართველმა საბჭოთა მოცეკვავეებმა თბილისის გუნდთან ერთად წარმოად გ ი ნ ე ს მ რ ა ვ ალფერადოვანი პროგრამა, რომელიც ბრწყინვალე დადგმითა და ქორეოგრაფიით გამოირჩევა, — წერს დედაქალაქის გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“. საცეკვაო ნომრები ენაცვლებოდა გუნდურ სიმღერას. თავიანთი განწყობილებითა და ტემპერამენტით სრულიად სხვადასხვა ცეკვა და სიმღერა მუდამ იწვევდა მაყურებლის აპლაუზებს, ნამდვილ სიხარულს ანიჭებდა მას“. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე, აღნიშნავს გაზეთი, ქართული ბელოდიების მრავალხმიანობამ, ქართული ხალხური ცეკვების მგზნებარებამ და რიტმულობამ.

საღამო იყიდება ჩაი

თბილისის სპეციალიზებულმა მაღაზიამ, რომელიც ცენტრალურ მაგისტრალზე — რუსთაველის პროსპექტზეა, შარშანდელთან შედარებით ერთნახევარჯერ გაიზარდა ჩაის რეალიზაცია.

ასორტიმენტის გაფართოებას ხელს უწყობს საქონლის შესყიდვა საბითუმო ბაზრობაზე, რისთვისაც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ სავაჭრო საწარმოს ხელმძღვანელები თ. გიორგაძე და ს. მარტიროსოვი.

მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ არა მარტო ჩაი, არამედ ჩაის სმასათვის საჭირო სხვა პროდუქტები, ტოლის სამოვრები, სერვიზისა და სხვა საგნების ჩათვლით.

(საქინფორმი).

„დილა“ № 11

გამოვიდა ჟურნალ „დილის“ მე-11 ნომერი, რომელიც მიძღვნილია დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის საიუბილეო თარიღისადმი.

ჟურნალი იხსნება კ. გოგიაშვილის ლექსით „სოქტომბრო“. აქვეა დაბეჭდილი სარდაქციო წერილი „ჩვენი დღესასწაული“. საინტერესოა ნადეჟდა კრუპსკაიას მოგონება „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, რომელიც თარგმნა ლ. ერაძემ.

„თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“ — ასე ეწოდება იმ განყოფილებას, სადაც გამოქვეყნებულია ჩვენი მოძმე რესპუბლიკების — რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სამეცნიერო ჟურნალების მხოლოდ მეთერთმეტე საიუბილეო ნომრების მასალები, რომლებიც თარგმნეს ან. აბულაშვილმა, მზია გელაშვილმა, ქ. გოგიაშვილმა, ა. ასანიძემ და სხვებმა.

ჟურნალის ეს ნომერი საუკეთესოდ გაფორმეს მხატვრებმა ედ. ამბოკაძემ, მ. მორჩილაძემ, ზ. დეისაძემ, ს. კინწურაშვილმა, თ. ქართველიშვილმა, გ. როინიშვილმა და სხვებმა.

ჭადრაკის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი საჭადრაკო სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელი.

ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა ნონამ ქალთა შორის მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის სახელი. იგი არაერთხელ ყოფილა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, იმარჯვებდა გუნდურ საჭადრაკო ოლიმპიადებში, საერთაშორისო ტურნირებში, მან შორის ვეფთა ტურნირებშიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ღამუტატი, საერთაშორისო დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა, დღენიადაგ შრომობს რესპუბლიკაში მოჭადრაკეთა შემდგომი განვითარებისათვის.

სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნონა გაფრინდაშვილი და სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვიტალი სევასტიანოვი.

ა. აბაშიძის ფოტო (საგზეთის ფოტოქრონიკიდან).

(სურათი გადაღებულია 1977 წელს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, სადაც გაიმართა პიონერთა სასახლეების ნონრმ მოჭადრაკეთა ტურნირი. ამ ტურნირზე მოწვეული იყო კოსმონავტი მფრინავი ვ. სევასტიანოვიც).

ჭადრაკი

მსოფლიოს ჩემპიონის აზრით

ა. კარპოვი არავითარ უპირატესობას არ მოითხოვს

ეს ერთ მსოფლიოს ჩემპიონს ანატოლი კარპოვს ესაუბრა ოუგოსლავიის სატელეგრაფო საგენტოს (ტანიუგის) მიმამხილველი, ფიდეს ვიცე პრეზიდენტი, საერთაშორისო არბიტრი ბ. კაკეჩი. საუბარი მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის საკითხებს ეხებოდა და ვფიქრობთ, დაინტერესებს ჩვენს მკითხველებსაც.

კაკეჩმა გინაცხადა, რომ როდესაც ფიდე თავის უკანასკნელ კონგრესზე განიხილავდა მსოფლიო პირველობის მატჩის პირობების საკითხს, წინადადება იყო ეს ასპარეზობა 24 ან 30 პარტიით შემოეფარგლათ, ან საერთოდ ულიმიტო მატჩი დაეწყებინათ. კარპოვმა მოიხმარა დელეგატები, როდესაც განაცხადა, რომ არავითარ უპირატესობას არ მოითხოვს.

ი ი, რა თქვა კარპოვმა:

— მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სჯობს მატჩი პარტიების გარკვეული რიცხვისაგან შედგებოდეს. ამ შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონს შეეძლო მატჩის საყიმო შედეგზე აეღო გეზი, რადგან იგი თავის წოდებას ინარჩუნებდა. ამ ბოლო ხანებში ბევრი მოითხოვდა პარტიების რიცხვის განსაზღვრელობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა მიმდინარეობს გამარჯვებების გარკვეულ რიცხვამდე, ყაიმები არ ითვლება, პარტიების რიცხვი კი არ არის განსაზღვრული. ფიდეს დელეგატების უმრავლესობამაც სწორედ ასე მოისურვა.

ახლა მსოფლიოს ჩემპიონმა წაგების შემთხვევაში ერთი წლის შემდეგ მატჩრევანშის უფლება მიიღო.

რას ელით ამ მატჩისაგან, რომელიც ახალი პირობებით გაიმართება?

ეფიქრობ, მოვიგებ და მსოფლიოს ჩემპიონობას შევინარჩუნებ. ასე, რომ არ დამშორდება მატჩრევანშის უფლების გამოყენება, რომელიც ფიდემ მომანიჭა.

როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება თქვენი მეტოქე, ან სხვა ხიტყვებით რომ ვთქვათ, ვინ გაიმარჯვებს პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში?

მე ეფიქრობ ბელგრადის მატჩში ორივე მეტოქეს თანაბარი შესაძლებლობები აქვს.

გამოდის, რომ თქვენთვის სულ ერთია, ვინ იქნება მეტოქე. თუ ტაქტიკური მოსაზრებით არ გინდათ უასახოთ ამ კითხვას?

მე 1974 წელს მატჩები მოვუგე სპასკისაც და კორჩნოისაც.

შემდეგ კარპოვმა განაცხადა, რომ უკვე დაიწყო მზადება მსოფლიო პირველობის მატჩისათვის, რომელიც უნდა დაიწყოს პრეტენდენტთა ასპარეზობის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ. წელიწადს კარპოვი არსად აღარ ითამაშებს, თებერვალში კი განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს უდიდეს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ბუგოხნში (იუგოსლავია) გაიმართება. ამ ასპარეზობაში 16 უძლიერესი დიდოსტატი მიიღებს მონაწილეობას.

გ. გამრეკელი.

ფეხბურთი

თბილისელ მაყურებელთა რეკორდი

დანარჩენ შეხვედრებშიც წარმატება წილად მასპინძლებს ხვდათ

როგორც გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, უეფას თასის, გათამაშების მერვედფინალურ მატჩში თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 1:0 მოუგეს ციურიხის „ზურსპორტს“. ამ გათამაშების დანარჩენ შეხვედრებშიც წარმატება წილად ხვდათ მასპინძლებს. მაინის ფრანკფურტის „ინტრახტმა“ ანგარიშით 4:0 მოუგო მიუნხენის „ბავარიას“, ასეთივე ანგარიშით მოუგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „მაგდებურგმა“ საფრანგეთის „ლანდს“. ინგლისის „იფსვიჩმა“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა ესპანეთის „ბარსელონა“, ინგლისს „ასტონ ვილამ“ — ესპანეთის „ალაჰ ბილბაოს „ატლეტიკო“ — 2:0, ჰოლანდიის „ბეგ-ეინდხოვენი“ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრაუნშვაიგის „ინტრახტი“ — 2:0, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „